№ 63

სამშაბათი, 23 მარტი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 63

სამშაბათი, 23 მარტი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—24)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადფმყოებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელიური და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

### მთაროვის განკარგულებანი.

ებოძათ ტვერის მე-43 რაზმის შტაბ-როტმისტრს ამაშუკელს—როტმისტრობა და კორნეტს—რატიშვილს—პორუჩიკობა; ნიჟეგოროდის მე-44 რაზმის კორნეტს თავ. ერისთავს—პორუჩიკობა; სევერსკის მე 45 რაზმის პორუჩიკს კობიაშვილს—შტაბს-როტმისტრობა, კორნეტს წულუკიძეს—პორუჩიკობა.

## ახალი ამბავი

⁂ 20 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, მოხდა მორიგი კრება ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების წევრთა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების ანგარიში და 1899 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით საზოგადოებას შემოსავალი ექმნება წლეულს 13,875 მანეთი, გასავალი—12580 მანეთი. დასასრულ არჩეულ იქმნენ გამგეობის 4 წევრი და 3 მათი კანდიდატი და სარევიზიო კომისიის წევრნი.

⁂ გუშინ, 22 მარტს, ხმოსანმა კ. ნ. რეიტერმა ქალაქის გამგეობაში ქალაქის მოურავის სახელობაზედ ქაღალდი წარადგინა, რომელშიაც აცხადებს, რომ დღეიდგან თავს ვანებებ საბჭოს ხმოსნისა და განსაკუთრებულ შემთხვევებში ქალაქის მოურავის ნაცვლად საბჭოში თავმჯდომარეობის მოვალეობასაო. ამ უარის მიზეზი ის არის თურმე, როგორც თვით კ. ნ. რეიტერი ამბობს,—რომ ჩემის ჯანმრთელობის აღსადგენად საზღვარ-გარეთ უნდა წავიდე დიდის ხნის ვადითაო.

⁂ 21 მარტს, დილით, ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების ყველა მეეტლეებმა პირი შეჰკრეს და მუშაობაზედ ხელი აიღეს. მეეტლეთ განაცხადეს, ვიდრე იმ შევიწროებას არ აგვაცდენენ თავიდგან, რომელიც ყოველ დღე გვადგია, მუშაობას არ დავიწყობთო. მაგალითად, ამ საზოგადოების გამგეობა იმ ძველ ფარაჯას, რომელიც ბაზარში 2—3 მანეთი ჰღირს, ჩვენზედ 7 მან. 50 კაპ. ჰყიდის და სულ უმნიშვნელო მიზეზით გვაჯარიმებსო. მე-8 ნაწილის ბოქაულმა და დირექტორმა რობიმ, როგორც იყო, დააწყნარეს მეეტლები და მუშაობა დააწყებინეს, მხოლოდ 6 კაცმა 100 კაციდგან განაცხადა, აღარ გვსურს მუშაობაო, თავიანთი ჯამაგირი აიღეს და სამსახურს თავი დაანებეს.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას გამართოს ამ მიმდინარე წელს ბაღოსნობის გამოფენები სოხუმსა, ქუთაისსა, ბაქოსა და სტავროპოლში.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ ნება დართო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას გამართოს წელს მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის და ბაღოსნობის გამოფენა-კონკურსი სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში და ბორჩალოს მაზრის სოფ. ჯელალ-ოღლში.

⁂ ამ რამდენისამე ხნის წინად ვწერდით, რომ ე. მ. ნადიროვისას აზრადა აქვს თვისი ადგილი ჩუღურეთში შენობებითურთ ქალაქს შესწიროს იმ პირობით, რომ იქ „სახალხო სახლი“ ააგონ. როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, ქ-ნი ნადიროვისა იმ პირობით უთმობს ადგილს ქალაქს, თუ იგი იკისრებს ამ მამულზედ დარჩენილის ვალის 27 ათას მანეთის გარდახდას. ამას გარდა, ქ-ნ ნადიროვისას უნდა მიეცეს 30 ათასი მანეთი.

⁂ გუშინ, 22 მარტს, კავკასიის პირველ სამთო ოლქის ინჟენერმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ორის თვის განმავლობაში შემოჰღობეთ ყველა ის ადგილები ნავთლუღისა და უსარგებლოდ დატოვებული ნავთის ჭები, რომელიც ქალაქს ეკუთვნის, მაგარის ღობით, ან ქვის კედელით, ორს ადლზედ არა ნაკლებითაო.

⁂ სასულიერო უწყებამ, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, განმარტა, რომ სამღვდელოებათა მორიგი კრებანი სექტემბერზედ ადრე არ უნდა მოხდესო.

⁂ კოჯორის რწმუნებულთა არჩევანები დანიშნულია 4 ივლისისათვის.

⁂ როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ შეიმუშავა პროექტი ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამკურნალო ნაწილის გადაკეთებისა და ამ საქმის უკეთ მოწყობის შესახებ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ზოგიერთი მუხლი ამ პროექტისა შეცვლილ იქმნა მთავარ-მართებლის საბჭოს მიერ. პროექტით, იმ შემთხვევაში, თუ სადმე გადამდები სენი გაჩნდა ადგილობრივ გუბერნატორს უნდა, გადაეცეს 3000 მანეთი; მთავარ-მართებლის საბჭომ-კი დაადგინა გუბერნატორს პირველ ხანს სენის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა გადაეცეს მხოლოდ 500 მანეთი, ხოლო თუ ვინიცობაა სენი გაძლიერდა, მაშინ სხვა ფული უნდა მიეცესო.

⁂ ტფილისის საკომერციო ბანკის საბჭოს მიერ ამ ბანკის გამგედ არჩეულ იქმნა კ. მ. ალიხანოვი.

⁂ საკომერციო ბანკის საბჭოში, „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამ ბანკის შარშანდელ მოგებიდგან გადადებულ იქმნას 10,000 მანეთი ტფილისის სამუსიკო სკოლის შენობის ასაგებ თანხის სასარგებლოდ.

⁂ გუშინ, 22 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ამხა-

## ფელეტონი

### ნანა

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან)

დასასრული *)

#### III

მზე კიდეც იწურებოდა, როდესაც ისინი მივიდნენ ერთ იმ მთაზედ, რომელიც ჰყოფს თუშეთს და დაღესტანს. აჰა, წინ გაეშალათ დაღესტანი თავისის ხევ-ხუვებით და მთაკლდეებით. ბნელი, ვიწრო და ღრმა ხევები ჰყოფდა მაღალ ქედებს, რომელნიც ზოგი დაცემული და ვაკე და ზოგი-კი კლდე-ჩონჩხიან და თოვლიან-ყინულიან წვერებით გველეშაპივით მიიკლაკნებოდნენ სხვა-და-სხვა მხარეს. შორს თვალი ველარ სჭრიდა ბურუსის სისქისაგან. მხოლოდ ბურუსიდგან ზოგი შაქრის თავივით თეთრად და ზოგი შავად აშვერილიყო მთების წვერები და მიწურულ მზის სხივებზედ ალისფრად ბრწყინავდა.

დიაღ, ეს იყო დაღესტანი—დაუძინებელი მტერი თუშეთისა. დასაბამიდანვე სცდილობდა იგი გამოეგლიჯა საქართველოსათვის ეს სჯულისა და თავისუფლებისათვის თავ-განწირული კუთხე, ეს იმედი და სიამაყე საქართველოს მეფეებისა, მაგრამ ცდა ცდად რჩებოდა და თუშეთი-კი ისევ ისე ქედ-მოუდრეკლად, მტრის ნაღველის გასახეთქად ამაყად იდგა ერთ ალაგას. ბევრი ცეცხლი და მახვილი შეუტანია დაღესტანს თუშეთში, ბევრის სოფლის ქვა ქვაზედ არ დაუნარჩუნებია, მაგრამ ამ ხალხის გულის სიმტკიცე-კი ვერა და ვერ დაუჩაგრია...

#### IV

ხიწო, ლეგა და ორი მისი ამხანაგი დარჩნენ ერთ დაფარულ ალაგას და გულის კანკალით ელოდებოდნენ მზის ჩასვლას, რომ შეუმჩნევლად ღამე ჩასულიყვნენ ძირს ხევში, რომლის გაღმა მთის კალთაზე, ფიჭვის ტყის თავში, ლეკების პატარა სოფელი მოსჩანდა. როგორღაც დრო ნელა გადიოდა. გული მკერდში ველარ დგებოდა; სისხლის აღშფოთვისაგან მთლად კანკალებდნენ და მთრთოლვარე ხელი ხან ხმლისა და ხან ხანჯლის ტარს ევლებოდათ.

მათ შორის ხიწო უბრყვად, თვალ განუშორებლივ მისჩერებოდა სოფელს, სადაც ეგულებოდა თავისი დანიშნული.

— ვნახავ-კი ჩემ ნანას?!.. ჰფიქრობდა ხიწო. ვინ იცის, რა უყვეს ურჯულოებმა. იქნება გზაშივე მოჰკლეს ურჩობისათვის და მისი გვამი სადმე ხევში გადააგდეს, ან, როგორც ტყვე, ჩვეულისამებრ, ორმოში ჩააგდეს, ან მიიყვანეს სოფელში და შორეულ მუშტარს მიჰყიდეს.... მაშინ ვაი ფქვენ, ლეკებოო! ვფიცავ ჩემ წინაპარების სისხლით გაჟღენთილ და მათის ძვლებით დაკენჭილ თუშეთის მთებს, ნუღარ მესხას ყბაზედ წვერი, ჰარამი იყოს ჩემზედ მამიჩემის ამაგი, გამცვალეთ თქვენს ქალზედ, თუ შეგარჩინოთ ნანას ტყვეობა!... შურისძიებით აღვსილი, დაკოდილი ეს ჩემი გული ველარ შეგიბრალებთ, ვერ გაძღება დაწყევლილის თქვენის სისხლით, ვერ მოვისვენებ, სანამ თქვენს მკვდრებს ხუროდ არ ავაგებ, სანამ მშიერი ნადირი და ფრინველი არ გაძღება თქვენის ლეშით თქვენის მთების ხევ-ხუვებში და კლდე-ღრეებში!..

#### V

შუა-დღე იქნებოდა, როდესაც ნანა ჩამოიყვანეს ლეკებმა თავიანთ სოფელში. მთელის სოფლის ხალხი: დიდი, პატარა, ქალი, თუ ვაჟი, ფეხზედ წამოდგა. დაინახეს ნანა თუ არა, ასტყდა ერთი ოჩქოლ-ჩოჩქოლი. თავმოპარსული, დაგლეჯილ ტანისამოსში, რადგანაც თითქმის ნახევარი ტიტველი ტანი გამოსჩანდა, ფეხშიშველი, ზურგზე ტოპრაკებში ჩამსხდარ უსუსურ ბავშვებით ლეკების დედაკაცები წყევა-მუქარით და პირიდგან დორბლების ფრქვევით შეკუმშულ მუშტებით ზედ იწევდნენ და ნება რომ მიეცათ, მზად იყვნენ სუ კბილებით დაეგლიჯათ საზიზღარი თუშის ქალი. დაგლეჯილ-გაქონილ პერანგის ამარა ბალღები აქეთ-იქიდგან კიჟინით ქვებს ესროდნენ და თუ არ ნანას დამტყვევებელი ბელადი, ჩაქოლვას უპირებდნენ. უცბად საშინელი წივილი გაისმა ხალხში: ორი დედაკაცი, ერთი ბებერი და მეორე შუახნისა, წყევა-მუქარით მივარდნენ ნანას და დაუწყეს ცემა და გლეჯა-ფხრეწა. შუა ხნის დედაკაცმა ჭაავლო ნანას ხელი ყელში და ისე წაუჭირა, რომ თუ ისევ ის ბელადი არა, დარჩობას უპირებდა.

ეს ორი დედაკაცი იყვნენ—პირველი დედა და მეორე ცოლი იმ ლეკისა, რომელიც მოჰკლა ნანამ ჩიღოს წისქვილში. გაცხარებული ბებერი დედაკაცი მივარდა ბელადს:

— რა უყავ ჩემი შვილი?.

— აი ამ თუშის გოგომ მოჰკლა შენი შვილი, ამაყად მიუგო ბელადმა.

— ამან მოჰკლა და ეს მე მეკუთვნის, ჩემი შვილის სული სისხლს თხოულობს! შეუტია გაკაპასებულმა ბებერმა და ზიზღით შეჰხედა ნანას.

ნანა-კი იდგა უძრავად, ფერმიხდილი, გაშმაგებულ ბრბოს შუა და ელოდებოდა იმისს გარდაწყვეტილებას.

ხალხი უფრო და უფრო აყოყმანდა. ბელადი იჩემებდა ნანას და ის ორი დედაკაცი-კი იძახოდა, რომ „თუშის დაწყევლილი გოგო“, როგორც იმათის პატრონის მკვლელი,

*) იხ. „ივერია“ № 60.

ნაგის სავიცკისა და წევრების სემიგალოვისა და სტოიანოვსკისა, სიღნაღში წავიდა სამიჯნო საქმეების გასასინჯავად.

*** „კავ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: მიწად-მოქმედების სამინისტროს მოხელემ წარუდგინა მეურნეობის მინისტრს მოხსენება მევენახობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდგან სჩანს, კავკასიაში ვენახს სულ 108 ათასი დესეტინა უჭირავს, მაგრამ ფილოქსერისა და სხვა სენის გავრცელების გამო ეს რიცხვი თან და თან მცირდებაო.

*** „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, სომხთა კათალიკოსი მკრტიჩ I ტფილისიდგან ეჩმიაძინში 25 მარტს წავა.

*** როგორც „Рус. Вѣд.“ იუწყება, მიწად-მოქმედების სამინისტრო წელს ჰგზავნის ოსმალეთში რამდენსამე აგრონომს, რომელთაც უნდა გაიცნონ როგორ მოჰყავთ იქ თამბაქო, ამას გარდა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს კავკასიაში რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლებშიაც უმთავრესად მეთამბაქოობას ასწავლიან.

*** „ახ. მიმ.“ სწერენ ოზურგეთიდგან: კარგა ხანია ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობა სცდილობს ქალაქ ოზურგეთიდგან შეკვეთილამდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა იქმნას გაყვანილი. ინჟენერმა შალომოვიჩმა კვლევა-ძიება იმ ადგილისა, სადაც გზამ უნდა გაიაროს, უკვე დაამთავრა. აღმოჩნდა ამხანაგობაც, რომელიც თანახმაა გააკეთოს ეს გზა და მოგებიდგან გადასდოს სწავლა-განათლების საქმისთვის 5%. სხვათა შორის ამ საქმის განხორციელებას აფერხებენ სამნი ძმანი კ—ნი, რომელთაც არა ჰსურთ თავიანთი 111 ქცევა მიწა არამც თუ უსასყიდლოდ დაუთმონ გზას, როგორც სხვები მოიქცნენ, არამედ მეტად დიდს ფასსაც-კი თხოულობენ ამ მიწაში.

*** როგორც იგივე გაზეთი იუწყება, ართვინის ოლქში უძრავ ქონებაზედ გაწერილი გარდასახადი 1894—98 წლებში 800 მანეთით მეტი მოუკრებიათ, ვიდრე უნდა მოეკრიბათ. ეს ფული ხაზინაში არ შეუტანიათ თურმე.

*** ფოთი. ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ამ ჟამად დიდად არის მოწადინებული, რომ უკეთესად იყოს მოწყობილი საქმე ამ ეპარქიის სანთლის ქარხანისა. 24 თებერვალს სანთლის ქარხანა გადატანილ იქმნა ეპისკოპოსის სახლში, ხოლო 2 მარტიდგან დაიწყეს კიდეც მუშაობა ამ ქარხანაში. ქარხანა ძლიერ კარგად არის მოწყობილი და იმედია, რომ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ალექსანდრეს მხნე მეცადინეობის წყალობით სანთლის ქარხნის საქმე ამიერიდგან ისე მტკიცე ნიადაგზე იქმნება, რომ მთელს ეპარქიას დიდს შემწეობას მისცემს და ყოვლად სამღვდელოს მიეცემა შეძლება განახორციელოს თვისი მრავალი კეთილი განზრახვანი სამეგრელოს სასულიერო სკოლისა, დედათა საეპარქიო სასწავლებელისა, სამრევლო სკოლებისა და სხვათა შესახებ.

*** „ტფილ. ფურ.“-ს სწერენ გორის მაზრის სოფ. ცხრა მუხიდგან: ამას წინად 15 წლის გლეხი ხუდაშვილი ცხენით მტკვარში შევიდა. წყალი იმ ადგილას ჩქარია და ცხენიცა და კაციც შუა ადგილას გაიტაცა. ხუდაშვილი როგორც იქმნა ნაპირს მიუახლოვდა, მაგრამ დასუსტდა და გამოსვლა ველარ შესძლო. ის იყო წყალს უნდა ჩაეძირა, რომ 18 წლის გლეხის ქალი გადახტა წყალში და გამოიყვანა ხუდაშვილი.

*** 19 მარტს, ღამე, პოლიციამ ტრაქტირებისა და დუქნების გაჩხრეკის დროს 34 კაცი აღმოაჩინა, რომელთაც ბაშფორთი არა ჰქონდა. ეს კაცები თავიანთ სოფლებში იქმნებიან გაგზავნილი.

*** 20 მარტს პოლიციის მე-8 ნაწილში მიიყვანეს ესე რვა წლის გოგო სახელად ანნა. ამ გოგომ განაცხადა, რომ ქართველი ვარ, აქ ნათესავი არავინა მყავს, ერთ სომეხთან მიმაბარეს, რომელნიც ყოველ დღე მცემდნენ, შემდეგ სახლიდგან გამომაგდესო. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** „კავკ.“-ს სწერენ: ამას წინად ტფილისის მაზრის სოფ. შვინდაბეში ადგილობრივ მცხოვრების დიმიტრი წიკლაურის ბავშვი, ეზოში თამაშობის დროს, უცაბედად წყლით სავსე ორმოში ჩავარდა და დაირჩო.

# რუსეთი

—

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს მკურნალ-ქალებს ისეთივე უფლებები მიანიჭოს, როგორიც მკურნალ-კაცებსა აქვთ. ამ საქმის შესამუშავებლად შემდგარ იქმნა საერო განათლების სამინისტროში განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ამ რამდენისამე ხნის წინად მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს მიჰმართა და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საგნის შესახებ. სამკურნალო ფაკულტეტს, როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, ის აზრი გამოუთქვამს, რომ მკურნალ-დედაკაცებს უნდა მიენიჭოს ყველა ის უფლება, რაც მკურნალ-მამაკაცებსა აქვთ მინიჭებულიო.

— აზრადა აქვთ პეტერბურგში გამართონ საერთაშორისო სამეტეოროლოგიო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია 17 სახელმწიფოს წარმომადგენელი.

— გზათა სამინისტროში გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მოსკოვში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საშუალო სარკინისგზო სასწავლებელი.

# უცხოეთი

—

**უნგრეთი.** კოლომონ სელმა, უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტმა, დიდი იმედი აღუძრა უნგრეთის საზოგადოებას ადმინისტრატიულ და არჩევანების ცვლილებათა შესახებ. მაგრამ დაპირება ჯერ დაპირებადვე რჩება და კანონ-პროექტს ამა თუ იმ ცვლილების შესახებ არავინ ჰხედავს. ეს გარემოება დიდად აღელვებს უნგრეთის პოლიტიკურ დასებს, მომეტებულად-კი ოპოზიციას. ამის გამო ოპოზიციის გაზეთები თხოულობენ, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა გარკვეული აზრი წარმოსთქვას — რა წესსა და რიგზედ უნდა დაავენოს არჩევანების საქმეები და როგორ უნდა იქმნას თავიდგან აშორებული ათასგვარი ბოროტ-მოქმედება საარჩევანო სიებს შედგენის დროსო. მთავრობის გაზეთები ჯერ ხმას არ იღებენ ამ საგნის შესახებ, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრატიულ ცვლილებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, ამაზედ-კი ერთობ გულმოდგინედ სჯიან და გამათობენ. ხსენებულ გაზეთების აზრით, მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს არსებითად შეცვალოს ადმინისტრატიული წეს-წყობილება, რადგან ეხლანდელი წეს-რიგი ხშირად ვერ აკმაყოფილებს საზოგადო ინტერესებს.

— საიროაში მრავალ კათოლიკე სერბებმა მიიღეს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. იმათ მაგალითს სხვა სერბებმაც მიჰბაძეს უნგრეთში, ასე რომ ეხლა სოფელ ბერეგში 200 კათოლიკე სერბს მოუწადინებია მართლ-მადიდებელ სარწმუნოების მიღება. ეს გარემოება არაფრად მოსწონთ მადიარებს და დიდათაც დაფიქრებული არიან, რადგან უნგრეთის ყველა სერბებმა თუ მართლ-მადიდებლობა მოისურვეს, ეს არა მცირე პოლიტიკურ მნიშვნელობას იქონიებს უნგრეთის შინაურ ყოფა ცხოვრებაზედ.

—

**ბელგია.** ლეოპოლდ მეფის თაოსნობით, ბელგიელები გულმოდგინედ შეუდგნენ ეროვნულ სავაჭრო ფლოტის გაძლიერებას. გემებისა და ფულის პატრონებმა, მდიდარმა ვაჭრებმა და მექარხნეებმა ამხანაგობა შეადგინეს და ნაოსნობა გაჰმართეს. გემებზედ ბელგიის ეროვნული ბაირაღები გაშლილი და მოხელეებად და მოსამსახურეებად ყველანი ბელგიელები არიან. ხსენებულ სინდიკატის გემები დადიან ბელგიიდგან კონგოს, ხმელთა შუა, ნემეცების და თეთრს ზღვებში. საზოგადოებას აზრად აქვს გემების მიმოსვლა გაჰმართოს ანტვერპენსა და ხანკოუს შორისაც.

ბელგიაში იმ აზრის არიან, რომ ეროვნულ სავაჭრო ფლოტისათვის საჭირო არ არის სახელმწიფოს მხრივ დახმარება, რადგან ეს ასე თუ ისე ხელს შეუშლის საქმის თავისუფლად წარმართვას და თვით-მოქმედებასო. ამისათვის საზოგადოება მხოლოდ თავისს საკუთარ ძალ ღონეს უნდა დაემყაროს და ეს უფრო საჭირო იქმნება მისთვის; უფრო რიგიანად გაძლიერდება იგი ბელგიის ვაჭრობა-წარმოების გაძლიერების კვალობაზედო.

—

**ოსმალეთი.** გაზეთების სიტყვით, დღე არ გაივლის ისე, რომ ოსმალეთისა და სერბიის საზღვარზე შეტაკება არ მოხდეს და სისხლი არ დაიღვაროს. ძველს სერბიაში ალბანელები ჩვეულებრივად ავიწროებენ თურმე სერბებს, თუმცა სერბიის ელჩმა ნოვაკოვიჩმა რამდენჯერმე მოაგონა ოსმალეთის მთავრობას, რომ ეს უწესოება მოისპოსო. პორტამ თურამე ღონისძიება არ იხმარა ამ უწესოების წინააღმდეგ, როგორც ჰფიქრობენ, ადვილი შესაძლებელია, სერბებმა იარაღი აიღონ ხელში თავიანთ სატომოშებულის დასაცველად და ამნაირად მშვიდობიანობა დაირღვეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ.

—

**კრიტი.** კრიტის კონსტიტუცია უკვე შემუშავდა და დამტკიცდა. იგი უკვე გადაათვალიერა ოთხ დიდ სახელმწიფოს ელჩებმა რომში და მოიწონეს. კრიტელები ეხლა მოუთმენლად მოელიან თავიანთ გენერალ-გუბერნატორის მოთათბირეების არჩევას. ეს მოთათბირეები იგივე მინისტრები იქნებიან. ბევრს კრიტელს სურს, მეტადრე ქრისტიანებს, ერთ-ერთ მინისტრად საეროვნო კრების თავმჯდომარე სფაკიანაკი იქმნას. ეს უკანასკნელი-კი დიდს უარზედ სდგას თურმე და კრიტიდგან წასვლასაც აპირებს სამოგზაუროდ.

—

**ბოლგარია.** მინისტრ-პრეზიდენტი გრეკოვი და შინაგან საქმეთა მინისტრი რადოსლავოვი მოგზაურობას აპირებენ ბოლგარიის სხვა-და-სხვა ადგილებს. იმათ აზრად აქვთ გავლენა იქონიონ ამომრჩევლებზე, რომ მომავალ საეროვნო კრების დეპუტატებად მათი მომხრეები იქმნან არჩეულნი. ამნაირად არ მართლდება ის ხმები, ვითომც რადოსლავოვს სდომებოდეს მხოლოდ მისი დასის მომხრეები აერჩია კრებას დეპუტატებად. თავიანთ მხრივ სტოიანოვი და ცანკოვის მომხრეებიც დიდს მზადებაში არიან თურმე, რომ როგორმე გაიმარჯვოთ არჩევანებზეო.

---

მათი დამღუპავი, პირადი მტერი, ჩვენ უნდა მოგვეცესო. სჯა-ბაასის შემდეგ ბელადმა მოჰკიდა ხელი ნანას და წაიყვანა თავისს სახლში.

## VI

მზე ჩავიდა. აქა-იქ ნაჭერ-ნაჭერად დაფანტული ღრუბლები ჰფარავდა ცას. მხოლოდ ღამის მნათობი ვარსკვლავები ხან გამოჩნდებოდნენ და ხან მიეფარებოდნენ ღრუბლებს. მიდუმდა ბუნება. სოფელშიაც შესწყდა ხმაურობა. ხალხმა დააქრო ცეცხლები თავიანთ სახლებში და ძილს მიეცა. მხოლოდ ერთ სართულიან დაბალ ნაპირა სახლის სარკმელში გამოსჩანდა პატარა სინათლე. ეს სახლი იყო ბელადისა. ყველას ეძინა. დაქანცულსა და დაწყვეტილს ბელადსაც ჩქარა მიეძინა; ხოლოდ არ ეძინა ნანას. იჯდა სარკმელთან და ნაღვლიანად გაიყურებოდა გარედ. მოაგონდა თუშეთი, სოფელი ჩიღო, თავისი სახლი, სადაც პირველად აახილა თვალები, ავადმყოფობისაგან დაუძლურებული დედა... ამ უბედურებაშივე მოაგონდა თავისი სახელოვანი მამა თორღვა, რომლის შიშით არამც თუ ლეკები, ჯიხვებიც-კი ვერ დანავარდობდნენ ლაღად მთის შავს კლდეებზედ.... მაშ სად არის ეხლა, რატომ არ შეანანებს თავხედ ლეკებს თავის საყვარელ ნანას შეურაცხყოფას?!.. ორის წლის წინად უნუგეშოდ დასტოვა ნანა, მისი დაუძლურებული დედა და თვითონ კი წარუდგა თავის სახელოვან წინაპრებს!.. მოაგონდა ნანას ის საშინელი ღამე, თავისს სისხლში მცურავი შინშე ლევანი, — მისი სიტყვები: „ეს ღამე ბევრს სწყემსს დაუბნელებს წუთი-სოფელსაო“!.. ხიწო?..

აქ-კი გული აემღვრა, სისხლი თავს მოაწვა და თვალებიდგან გაფითრებულ ლოყებზე ლაპა-ლუპით ცრემლები წამოსცვივდა.

ამ დროს ნანამ იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზედ ხელი დაადო. შემკრთალმა აიხედა და რა დაინახა თავისი დამტყვევებელი ბელადი, ზეზე წამოვარდა აკანკალებული. მის წინ იდგა მისთვის საზიზღარი კაცი, რომლის გაქონილი პერანგი, გაღეღილი, მუგუზალსავით გაშავებული, ჯაგრიანი გულის მკერდი, აბურძგნული თმა და წვერ-ულვაში, ჩასისხლიანებული მხეცური თვალები საშიშარ და ამასთან საზარელ-საზიზღარ სანახაობას წარმოადგენდა... პირუტყულ გრძნობებით აღჭურვილმა ლეკმა მთრთოლვარე ძლიერი ხელი მოჰკიდა ნანას მკლავში და მიიზიდა თავისკენ, მაგრამ ნანა გამოუსხლტა და მრისხანედ შეუტია:

— ხელს ნუ მახლებ, გამეცალე საზიზღარო ურჯულო, მომკალი და — გაათავე, სიკვდილი ათას წილად მირჩევნია შენს ხელთ ყოფნას!..

როგორც გაათრებული მხეცი, ისე მიჰვარდა ლეკი ნანას. ასტყდა საშინელი ბრძოლა მათ შორის: ერთი ღონით ბევრად სუსტი თავ-განწირვით იცავდა თავისს ნამუსსა და პატიოსნებას, მხოლოდ მეორის სურვილი-კი ის იყო, დაეკმაყოფილებინა თავისი პირუტყული გრძნობანი. ებრძოდა ნანა, მაგრამ მისი ბრძოლა ბევრ ხანს ვერ გასტანდა გაშმაგებულ თავ-დავიწყებულ მხეცთან.

ამ დროს კარებში კაკუნი გაისმა.

— მიშველეთ, შეჰყვირა იმედ მიცემულმა ნანამ.

— ვინ ხარ, რა გინდა ამ დროს? ხრიწიანის ხმით დაიღრიალა ლეკმა.

აქ უცბად მივარდა ნანა და, ვიდრე ტვინ-ამღრეული მხეცი გონს მოვიდოდა, საჩქაროდ გამოაძრო კარებიდგან ურდული და კარები რახუნით გაიღო.

— ხიწო! შეჰკივლა ნანამ და მივარდა გახარებული თავისს დანიშნულს. ზარ-დაცემული ლეკი იდგა სანთელსავით გაშეშებული; მისი ამღვრეული, ჩასისხლიანებული თვალები უძრავად მისჩერებოდა ხიწოს.

— რას დგეხარ, ურჯულო, შეჰყვირა ხიწომ, მოვიდა დრო შურის გებისა, თუ ვაჟკაცი ხარ, ეხლა მომეცი პასუხი!..

— ბევრს რას ელაპარაკები, მოჰკალ ეგ ღორი! დაიძახა ლეგამ და იელვა კიდეც ხმალმა.

თავ-შუაზედ გაჩეხილი ლეკი უსულოდ დაეცა ძირს.

— წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა, ნუღარ ვდგევართ, თორემ გაგვიგებს სოფელი და ცოცხალი აქედამ ვეღარ წავალთ.. ემუდარებოდა ნანა.

როგორ გაჩნდა ამ დროს იქ ხიწო, იკითხავთ. როდესაც მზე ჩავიდა, ხიწო თავისის ამხანაგებით ჩამოეშვა მთის წვერიდგან ხევში. ხევიდგან ტყეში შევიდნენ და, სანამ სოფელში ხმაურობა არ შესწყდებოდა და სახლებში სანათს არ გააქრობდნენ, ისხდნენ ერთ ტყის სიხშირეში განაბულნი. აჰა, მოვიდა სანატრელი დრო. ხალხმა მიიძინა. სანათი მხოლოდ ერთ ნაპირა სახლში სჩანდა. ტყიდგან ფეხ-აკრეფით, სულშეხუთულნი იარაღ-მომარჯვებულნი მივიდნენ იმ სახლთან და რა გაიგონეს ხმაურობა, სმენად გარდაიქცნენ. ხიწომ იცნო ნანას ხმა და შემდეგ რაც მოხდა, ხომ ვიცით...

ხიწო, გელა და ნანა გამოვიდნენ ლეკის სახლიდგან და დაჰკეტეს კარები გარედგან, რომ ბელადის ოჯახობა, რომელსაც ცოლი და ორი პატარა ქალ-ვაჟი შეადგენდა, თუ ვინიცობაა გაიგებდა, დროიანად ვერ გამოსულიყო. გარედ იმათ დახვდა ხიწოს და გელას ორი ამხანაგი, რომელნიც სიფრთხილისათვის შორიახლოს დარჩნენ.

ალისფრად შეიღება აღმოსავლეთი, როდესაც ესენი სამშვიდობოში გამოვიდნენ და თავისუფლად, უშიშრად შეისუნთქეს თუშეთის ჰაერი.

ივ. ბ—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლოს მატიანე

—

ამ მარტის თვეში ტფილისის ოლქის სასამართლოს 2 განყოფილებამ ქ. თიანეთში გაარჩია საქმე თინა ბართიშვილისა, რომელსაც ბაბალე ბართიშვილის დარიშხანით მოწამლვა ჰბრალდება.

აი გარემოება ამ საქმისა: მათე ბართიშვილის ოჯახში სხვა წევრთა გარდა სცხოვრობდა აგრეთვე ხანში შესული ქვრივი რძალი ამავე ოჯახისა ბაბალე ბართიშვილი. ამ ბაბალესა და მათე ბართიშვილის ცოლის ახალგაზდა თინას შუა უთანხმოება მომხდარა იმის შესახებ, რომ თინას თურმე ჰყვარობდა ერთი ყმაწვილი კალატოზი—ლაზარე ზარიძე. ბაბალე ამის გამო ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე თავისს რძალს, ასე რომ მათ შორის დამოკიდებულება თან და თან გამწვავდა. ბოლოს იქამდის მივიდა მათი განხეთქილება, რომ ბაბალემ თურმე ცოლი ქმართან დააბეზღა. რასაკვირველია, ცოლის ნაძრახი ცხოვრება ქმარს არ მოეწონა და, თავისის მხრით, ცემა-ტყეპა დაურთო.

ამ გარემოებათა წყალობით ეჭვგარეშეა, რომ სიძულვილი რძალთა შორის უმწვერვალესს ხარისხამდე მიაღწევდა და რაკი სიძულვილი დაიძვრის ადამიანის გულში, ამასთანავე ის სურვილიც ებადება, რომ როგორმე თავიდამ მოიშოროს არა სასიამოვნო ადამიანი.

თინა ბართიშვილისაც აგრე მოიქცა და თავისის სურვილის განსახორციელებლად ისეთი იარაღი აირჩია, რომელიც უფრო შეეფერებოდა მისს დედაკაცურს ბუნებას — საწამლავი. ბაბალე ბართიშვილის მოწამლვის სურათი ორმა ქისტმა მოწმემ ასე დაუხატეს სასამართლოს: ჩვენაო, სთქვეს იმათ, სტუმრად ვიყავით მათე ბართიშვილისას, როდესაც არც თითონ მათე და არც სხვა მამაკაცი არ იყო შინაო. მერე დილით, როცა გზად ვაპირებდით წასვლას, თინამ საუზმეზედ მიგვიპატიჟა და არაყი შემოგვთავაზაო. ჯერ ჩვენ დავლიეთ, მერე ოჯახის მოჯამაგირემ, შემდეგ თითონ თინამ ბოთლიდამ მოსვა არაყი და ბოლოს იმავე ჭიქით, რომლითაც ჩვენ გვასმევდა, თინამ არაყი უფროს რძალს ბაბალეს მიართვაო. არაყის დალევა და ბაბალეს დაკვნესა ერთი იყო და საღსალამათი ადამიანი უცბად გადაიქცაო. ამასთანავე მოწმეებმა დასძინეს, რომ თინას არც ჭიქა და არც ბოთლი არ შეუცვლია, ჩვენს ახლო იდგა და არაყს ისე გვასმევდაო. მოწმეების ჩვენება ცოტა არ იყოს არ ეწყობა გარემოებას, რომ, როგორც ბაბალე ბართიშვილის გვამის გაჭრამ და იმისავე შიგნეულობის ქიმიკურმა ექსპერტიზამ აღმოაჩინა, იგი დარიშხანით ყოფილა მოწამლული, გარნა დარიშხანა ისე სწრაფად არა ჰმოქმედობს ადამიანზედ და უცბად არ უსპობს ძალღონეს, არამედ თანდათან, როგორც შეამოწმა თიანეთის ექიმმა ბ-ნმა ჯავახიშვილმა.

მხოლოდ არის ერთი სხვა გარემოება, რომელიც ამ საეჭვო მხარეს საქმისას ნათელსა ჰფენს. დანარჩენ მოწმეების მეზობელ დედაკაცების ჩვენებიდგან გამოირკვა: იმათ სთქვეს, რომ, როდესაც ჩვენ მივედით, ბაბალე უკვე გარდაცვლილი იყოვო. თინამ გვითხრა, რომ დილით არაყი დალია და, მგონი, იმის გამო გახდა ავადაო! გარდა ამისა ისიც დასძინა თურმე თინამ, რომ ქისტების საუზმეზედ მიპატიჟებამდე მე და ბაბალემ მაგარი არაყი დავლიეთო და შემდეგ-კი ქისტებს შინაური არაყი დავალევინეთო. ესევე სთქვა თურმე თინას 9—10 წლის გერმა, მაგრამ, შემდეგში ორივემ ამ სიტყვებზედ უარი სთქვესო, განაცხადეს მოწმეებმა. მოწმეების ჩვენებიდანვე გამოირკვა, რომ თინას საწამლავი ჰქონია ბოთლში; იმავე საწამლავით იგი თურმე მოწამვლას უპირებდა ლაზარე ზარიძეს, რომელსაც, მოწმეების სიტყვებით, საკვეხურად მიაჩნდა იმასთან კავშირი და ხალხში თავს იწონებდა,—თინასა ვყვარობო. თინა ბართიშვილისამ თავი თვისი დამნაშავედ არ იცნა და სთქვა,—გარდაცვალებულთან დედაშვილური დამოკიდებულება მქონდა და რათ მოვწამლავდიო.

ოლქის სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ იცნა და 10 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა. როგორც თინა, აგრეთვე ამ საქმის სხვა მომქმედნი—თუშები არიან.

---

## დამაკვირდი

კაცი, სახელის მქონელი,
უკვდავად შემირაცხია;
მკვდრად იგი თქმულა,
ვის კაი სახელი ზედ არ აცხია.
სულხან საბა

* * *

სოფლისა სიმწარესა ყოველნივე გამოვცდითა.
როსტომიანი

* * *

ინებე შენთანა მყოფთა რათა რცხვენოდეს შენგან უფროს, ვიდრეღა ეშინოდეს, რამეთუ სირცხვილსა შეუდგს პატივი და სიყვარული, ხოლო შიშსა სიძულილი; შიში ღიქნასა იქმს, ხოლო სიყვარულსა ვერ მოიგებს.
ხელნაწერი (1586 წლ.)

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ კანადაში არსებულ სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებათ ურთ-ერთ შორის პირობა შეჰკრეს აღარ მიიღონ დასაზღვევად გათხოვილ ქალთა სიცოცხლეო. სიცოცხლის დაზღვევა ამ საზოგადოებაში შეუძლიან მხოლოდ იმ ქალს, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ქმრისაგან და ოჯახს თავისის შრომით ინახავს. ეს გარდაწყვეტილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ქმრები ხშირად ჰკლავენ თავიანთ ცოლებს, რათა დამზღვევ საზოგადოებიდგან ჯილდო მიიღონ. ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში მრავალი მაგალითი ყოფილა იმისი, რომ ქმარს დაუზღვევია ცოლის სიცოცხლე, შემდეგ მოუკლავს და საზოგადოებიდგან ფული გამოუტანია.

* * *

როგორც გამოუკვლევიათ, არაყი დიდის ხნის მოგონილი არა ყოფილა. მეთორმეტე საუკუნემდე არაყის გამოხდა და ხმარება სრულიად არ სცოდნიათ. მე-XIV საუკუნეში არაყს წამლადა ხმარობდნენ მხოლოდ; ერთის მაშინდელის მწერლის სიტყვით, არაყი თითქმის ყველა ავადმყოფობასა ჰკურნავდა: კბილის ტკივილს, თვალის ტკივილის, ქარებს, გულის ფრიალს და სხვა მრავალ ავადმყოფობას. ლონდონში გაწმენდილ სპირტის ხმარება დაიწყეს 1450 წელს, მაგრამ 1494 წელს აღკრძალეს კიდეც. არაყს ამ ხანებში „ცხოვრების წყაროს“ ეძახდნენ. ნიდერლანდიაში არაყს ვაშლისა და მსხლისაგან ჰხდიდნენ. იქაც 1601 წელს მთავრობამ აღკრძალა არყის ხმარება. მხოლოდ აფთიაქებს ჰქონდათ ნება გაეყიდნათ წამლად. ბრძანებაში, რომლითაც არყის ხმარება აღკრძალეს, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ „ამ სასმელის წყალობით სიმთვრალე ხშირდება, რომელიც არამცთუ მავნებელია ოჯახის კეთილ-დღეობისა და კაცის ჯანმრთელობისათვის, არამედ ბევრი იმის წყალობით სულს იწყმედავს, რადგანაც უზიარებელი ჰკვდება“-ო.

* * *

როგორც ვუწყით, ჩინელები და კორეელები თმას იპარსავენ და მხოლოდ კეფაზედ სტოვებენ ბალანს, რომელიც კავის მაგვარად აქვთ ჩამოშვებული. ერთს კორეელს გენერალს—მინ იონგვანს ამას წინად ბრძანება გაუცია თავისს ხელ-ქვეით ჯარისათვის, რომ ყველამ კეფაზედ დარჩენილი თმა მოიპარსეთო, ასეთის კავების ტარება დღეიდგან აღკრძალულიაო. ამ ბრძანებას დიდი ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა გამოუწვევია კონსერვატორთა შორის. ბევრის ფიქრისა და თათბირის შემდეგ მათ შემდეგის შინაარსის თხოვნა მიურთმევიათ კორეის იმპერატორისათვის: „დღემდის ჩვენი ქვეყანა განთქმული იყო სათნოებით და ზრდილობით, რადგანაც ხალხი მტკიცედ იცავდა დიდის ფილოსოფოსის კონფუცის მოძღვრებას და სწავლას და ტანისამოსითა და მორთულობითაც განირჩეოდა სხვა ხალხთაგან. მას შემდეგ-კი, რაც უბედურება დაგვატყდა და კავები მოგვპარსეს, უმეტესი ნაწილი მამაკაცებისა პირუტყვებად გარდაიქცნენ, ხოლო ჩვენი ცივილიზაცია—ბარბაროსობად. საბედნიეროდ, თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს ბრძანება მალე გააუქმეთ და ამიტომ ჩვენი მამაკაცები ისევ კაცებს დაემსგავსნენ. მაგრამ ეხლა ჯარის-კაცები და სტუდენტები ხელ-ახლა იპარსავენ თმას და რაც დრო გადის პირუტყვებს ემსგავსებიან. გთხოვთ ამიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, დასაჯოთ გენერალი მინ იონგვანი და ბრძანება გასცეთ, ასეთი საქმე აღარავინ ჩაიდინოს“.

---

# დეპეშა

20 მარტი

**პარიჟი.** მოსამართლემ ფაბრმა გადასწყვიტა, რომ ისეთი მიზეზი არა არის-რა, რომ მონტელი და „ეროვნულ ინტერესების დამცველ ლიგის“ სხვა წევრები სამართალში იქმნან მიცემულნიო.

**პარიჟი.** მთავრობამ გარდასწყვიტა სამართალში მიეცეს „Figaro“ იმ საბუთების გამოქვეყნებისათვის, რომელნიც დრეიფუსის საქმის გამოძიებას შეეხება.

**პარიჟი.** „Figaro“ ჰბეჭდავს in externo პატი დიუ-კლამის ჩვენებას სისხლის სამართლის პალატის წინაშე 1899 წლის 12 და 13 იანვარს. იგი ამტკიცებს, რომ დრეიფუსის შესახებ ესტერგაზი მუდამ ისე იქცეოდა, როგორც უმაღლესი მთავრობა უბრძანებდა და ეხლანდელს აგიტაციაში ის არვითარ მონაწილეობას არ იღებდაო.

ვიღაც ოზუფმა 19 მარტს რევოლვერით მოჰკლა ბულონის ტყეში ერთი კაცი. ოზუფი ჭკუაზედ შეშლილია. ჰფიქრობენ, რომ იმას აზრად ჰქონდა პრეზიდენტის ლუბეს მოკვლაო.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც „Agence Constantinople“ ს აუწყებენ ესკიუბიდგან, ჩერნოშჩეკასა და კოპლინას შუა, სადარაჯო ადგილების საზღვარზედ, რამდენიმე სერბიელმა თოფები ესროლეს ოსმალეთის კაპრალს და სალდათს. პირველი მოკლულ იქმნა, ხოლო მეორე დაიჭრა. გამოძიება სწარმოებს.

**კოპენჰაგენი.** საზღვარ-გარედ გავრცელებულ ხმების გამო აღმოსავლეთ აზიაში დანიის პოლიტიკურ პროექტების შესახებ, „რიცაუს საგენტო“ ამბობს, რომ აღმოსავლეთ აზიის წყლებში კრეისერის გაგზავნით დანიას მხოლოდ ისა აქვს აზრად, რომ განაძლიეროს თავისი დამოკიდებულება სიამთან და ჩინეთთან და არავითარი პოლიტიკური საფუძველი არა აქვსო.

**ჯიბუტი.** მარშანის რაზმი, რომელიც მშვიდობით არის, 11 მარტს ადის-აბებუში მივიდა. ეფიოპიაში ყველგან დიდის თანაგრძნობით ეგებებოდნენ რაზმს. ჯიბუტში მივა იგი აპრილის დამლევს. რკინის გზის გაყვანის საქმე განახლდა. ყველაფერი მშვიდობიანად არის.

**სტოკჰოლმი.** მარტინისაგან, რომელიც ციმბირში წავიდა ანდრეს შესახებ უკანასკნელად გავრცელებულ ხმების სიმართლის გამოსაძიებლად, ტომსკიდგან 19 მარტს შემდეგი დეპეშა მოვიდა: „მე გამოვკითხე ლიალინს, რომელიც მარწმუნებდა, რომ რამდენმამე ტუნგუზმა გამაგებინა, რომ იმათ ნახეს სამი კაცის გვამი, აგრეთვე აბრეშუმის ნაქსოვი ბუდე კარგა მოზრდილ საგნისათვის, რომელსაც გაკეთებული აქვს ლითონის მავთულების ბადე. დახოცილის კაცების ტანისამოსი რუსულს არ წააგავს, და ჩექმებს ტყავის სარჩული აქვს. კრასნოიარსკში მივდივარ და იქიდგან ოქროს მადნებში. ყველაფერი მშვიდობით არის. მარტინი“.

21 მარტი.

**პეტერბურგი.** სამიწად-მოქმედო მინისტრის განკარგულება: „სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა შორის უწესოების განახლების გამო, რომელიც ხელს უშლის სწავლა-მეცადინეობის რიგიანად მსვლელობას, ამ ინსტიტუტის ყველა სტუდენტები დათხოვნილნი არიან. ხელ-ახლა მიღების პირობების შესახებ ინსტიტუტის მთავრობას დარიგება აქვს გაგზავნილი.

**პეკინი.** ლი-ხუნგ-ჩანგი ისევ მოვიდა აქ.

**ბერლინი.** „Norddeutsche Allg. Zeitung“-ს გაუგონია, გერმანიამ წინადადება წარუდგინა სამოას სადავო საქმეების საბოლოოდ გარდასაწყვეტად კომისია შესდგეს სამთავე სახელმწიფოს დელეგატებისაგან. მაკ-კინლეიმ განაცხადა, რომ მიკვირს და ვსწუხვარ აპიაში მომხდარ შეტაკების გამოვო. ამერიკის წარმომადგენელს მიწერილობა გაეგზავნა აპიაში, რომ ისე მოიქეცი, status quo არ დაირღვეს და კიდევ არ მოხდეს შეტაკებაო.

**პარიჟი.** მარშანის რაზმი მივიდა 11 მარტს ელკოტოში.

პოლიციის კამისარმა გამოძიება მოახდინა „Figaro“-ს რედაქციაში დრეიფუსის საქმის გამოძიების საბუთების გამოქვეყნების გამო და ოქმში ჩასწერა რედაქტორის მიერ უარის განცხადება იმის შესახებ, რომ არ ვიტყვი, საიდამ ვიშოვე ეს საბუთებიო.

**სოფია.** როგორც აუწყებენ „Agence Bulgarie“-ს, მთავარმა ხელი მოაწერა ბრძანების ქაღალდს ბოლგარიის დიპლომატიურ აგენტის მარკოვის დაბარების შესახებ კონსტანტინეპოლიდგან.

22 მარტი

**პეტერბურგი.** სამთო ინსტიტუტის მთავრობა აცხადებს: „ინსტიტუტიდგან დათხოვნილი ის სტუდენტები, რომელთაც ჰსურთ უკანვე იქნენ მიღებულნი იმ პირობით-კი, რომ დაემორჩილნენ არსებულს წესებს, ვალდებულნი არიან მარტის არა უგვიანეს 26 გაგზავნონ ფოსტით ინსტიტუტის დირექტორის სახელობაზედ განცხადება ამისა და თხოვნა მიღების შესახებ. ამასთან უნდა წარგზავნონ შესასვლელი ბილეთი და ადრესი. ხელ-ახლა მიღება დამოკიდებული იქმნება ინსტიტუტის მთავრობისაგან. იმათ, ვინც დასახელებულ ვადამდე თხოვნასა და განცხადებას არ შეიტანენ, აგრეთვე იმათ, ვისი თხოვნაც შეწყნარებული არ იქმნება, დოკუმენტებიშინ გაეგზავნებათ. შინ გაეგზავნებათ შესასვლელი ბილეთები იმათაც, ვინც მიღებული იქმნებიან ხელ-ახლა ინსტიტუტში. მიღებულ სტუდენტებს ნება ექმნებათ ეგზამენები დაიჭირონ, რომელიც დაიწყობა 29 მარტს და დასრულდება 24 მაისს.

**პარიჟი.** „Figaro“ განაგრძობს ბეჭვდას სისხლის სამართლის პალატის მიერ მოხდარ გამოძიებისას. დილით დაბეჭდილი იქმნება კავენიაკის ჩვენების ბოლო. ამ ჩვენებაში ნათქვამია, რომ მხოლოდ დრეიფუსს შეეძლო სცოდნოდა ის საბუთის ქაღალდები, რომელიც „ბორდეროʻʻ-შია ჩამოთვლილიო. კომისარმა ოქმი შეადგინა ამ გამოქვეყნების შესახებ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

27 თებერვალს „საურთიერთო ნდობის საზოგადოების“ შენობაში გამართულ იქმნა სამუსიკო და სასიმღერო საღამო ქუთაისის და სენაკის სათავად-აზნაურო სკოლათა საშუალების გასაძლიერებლად. ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 378 მ. 10 კ., ბ-ნ შვედოვისგან 3 მ., ბ-ნ მიკლაშევსკისაგან—5 მ., თ. მ. დადიანისაგან—5 მ., ქ-ნ X.—3 მ., ზდანოვიჩისაგან 2 მ. 40 კ., დუმბაძისაგან—1 მ. 50 კ., ექ. გერატისაგან—3 მ. 10 კ., თ. პავლე თუმანიშვილისაგან—5 მ., ბ-ნ ფ.—90 კ., X.—1 მ. 30 კ. სულ 408 მ. 30 კ. აქედგან დაიხარჯა სკამების ქირისათვის 28 მ. 20 კ., მუშებს 11 მ. 25 კ., ბილეთებისა და აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა 19 მ., მომღერალ კოვალენსკის მოწვევა 52 მ. 20 კ., მარკები—30 მ., სცენის მოწყობა—33 მ. 85 კ., ეტლით სიარული—29 მ. 30 კ., ორკესტრი—25 მ., პოლიციას—1 მ. 50 კ., განათება—3 მ. 20 კ., სულ 233 მ. 50 კ. დარჩა 174 მ. 80 კ. ბუფეტიდგან შემოვიდა 284 მ. 90 კ. აქედგან დაიხარჯა სურსათის ყიდვისათვის 198 მ. 24 კ. მზარეულებისათვის 10 მ. 50 კ., მოსამსახურეებისა 32 მ., ჭურჭლის ქირა—12 მ. 30 კ., სულ 253 მ. 4 კ., დარჩა ბუფეტისა 31 მ. 86 კ., სულ დარჩა 206 მ. 66 კ.

ხსენებულ სკოლების სამზრუნველო გულითადს მადლობას უძღვნის ქ-ნთ მ. გ. ძნელაძისას, გრიაზნოვისას, შვედოვისას; თ. აკაკის, თ. გრ. აბაშიძეს, სერებრიაკოვს, ნაკაშიძეს, პროკოპიევს და საზოგადოდ ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყო და რაიმე დახმარება აღმოუჩინა ამ საღამოს გამართვას.

ქუთაისისა და სენაკის სათავად-აზნაურო სკოლების სამზრუნველოს თავმჯდომარეს
მაგიერ კ. დ. ბაქრაძე

---

## განცხადებანი

# იყიდება

ან კარგის პირობებით იჯარით იმლევა

სასოფლო აფთექა

პირობების გაგება შეიძლება ტფ. გუბ. თელავ. მაზრ სოფ. შილდაში პროვიზორის სედერშტრემისაგან. პასუხის მისაღებად მარკა უნდა გაიგზავნოს. (3—38—1)

# ბალანსი

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 იანვრისათვის 1899 წლისა

### აქტივი

| | მან. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . . . . | 18,447 | 43 | | |
| გირავნობის ფურცლებით . . . . . . . | 141,900 | — | | |
| კუპონების ახალ ფურც. ბანკ. გირავ. ფურც. შესაცვ. . | 73,920 | — | | |
| ვძელის ტალონებით გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც დანიშნულია მოსასპობლად. . . . . | 1,600 | — | 235,867 | 43 |
| 2) მიმდინარე ანგარიშ. სხვა-და-სხვა ბანკში . . . | 322,246 | 13 | | |
| 3) ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი . . . . . . | 20,600 | — | | |
| 4) კორესპონდენტებთან ნაღდად . . . . . | 31,183 | 97 | 374,030 | 10 |
| „ გირავნობის ფურცლებით . . | | | 502,400 | — |
| 5) საწევრო შესატანი ტფილ. საურთ. სამეურნეო კრედი- | | | | — |
| ტის საზოგად. . . . . . . . . | | | 250 | |
| 6) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები და გარდამავალნი: | | | | |
| I. სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები: | | | | |
| ა, სამოქმედო თანხისა . . . . . 945,700 | 930,295 | 63 | | |
| ბ, სათადარიგო თანხის სარგებლ. ქაღალდები 337,000 | 330,681 | 25 | | |
| გ, გარდამავალი . . . . . . . 400 | 400 | — | | |
| II, მთავრობის მიერ არა უზრუნ. ყოფ. სარგ. ქაღალდ. 42,600 | 57,045 | 30 | | |
| იმათი სარგებელი. . . . . . . . | ,537 | 44 | 1,325,959 | 62 |
| 7) დიდ-ვადიანი სესხი: | | | | |
| ა, მიწა-ადგილის გირაოდ მიღებით გაცემული 66 წ. 2 თ. ვადით 10,77 272 | | | | |
| ბ, „ „ 54 წ. 6 თ. „ 98,71—453 | | | | |
| გ, „ „ 61 წ 8 თ. 2,192,370—96 | | | | |
| დ, „ „ 48 წ. 8 თ. „ 6,689 -47 | | | | |
| ე, „ „ 9 წ. 10 თ. „ 947—69 | | | | |
| ვ, „ „ 43 წ. 6 თ. „ 517,204—65 | | | | |
| ზ, ქალაქის უძრავ ქონებათა გირაოდ მიღებით გაცემული 36 წ. 4 თ. ვადით 12.501,611—06 | | | | |
| Ⴇ, „ „ 27 წ. 6 თ. „ 1,392 520—88 | | | | |
| თ, „ „ 29 წ. 9 თ. „ 55,272—90 | | | | |
| ი, „ „ 31 წ. 2 თ. „ 1,575—73 | | | | |
| კ, „ „ 19 წ. 11 თ. „ 259,330—77 | | | | |
| ლ, „ „ 20 წ. 7 თ. „ 2,908—99 | | | | |
| მ, „ „ 38 წ. 4 თ. „ 277,564—46 | | | | |
| ნ, ბანკზედ დარჩ. მამ. { მიწა-ადგ.— 7,862—04 | | | | |
| ქალაქისა—63,945—04 } 71,807—08 | 17,389.291 | 89 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი . . 139,632—64 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით 36,975—47 | 176,608 | 11 | 17,565,900 | — |
| | | | | — |
| 8) გასაცემად დანიშნული სესხი . . . . . | | | 248,200 | |
| 9) შეღავათიანი გარდასახ. (§ 13 წესდ.): | | | | |
| 1) მსესხებელზედ: | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისა . . . . . . | 416,357 | 17 | | |
| ბ, მოკლე-ვადიანის სესხისა . . . . . | 9,861 | 78 | | |
| გ, დანაწილებული შემოსატანნი. . . . . | 1,760 | 21 | | |
| 2) ბანკზედ დარჩენილ მამულებზედ . . . . | — | — | 427,979 | 16 |
| 10) ვადას გადაცილებული შესატანი . . . . | | | 7,787 | 32 |
| ვადა გახანგრძლივებულისა და გადიდებულისა . | | | 64 | 02 |
| 11) ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის. . | | | 6,768 | 12 |
| 12) მოკლე-ვადიანი სესხი მსესხებლებზედ . . . | | | 370,042 | 95 |
| „ „ „ მამულებზედ რომელიცბანკსდარჩა. | | | 2,450 | — |
| 13) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . | | | 60,008 | 67 |
| 14) კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზედ გარდახდილი ფული . . . . . | | | 21,251 | 37 |
| 15) საკომისიოდ მიღებული გირავნ. ფურცლები . . (189,100) | | | 171,721 | 25 |
| 16) ხარჯი ბანკის მორთვა-მოწყობისა . . . . | | | 8,271 | 83 |
| 17) ხარჯი ტფილისის სათავად-აზნაურო და წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელთა, რომელიც საზოგადო-საჭიროების თანხიდგან უნდა იქმნას დაბრუნებული . . | | | | |
| 18) 6°/₀ გირავნობის ფურცლების კუპონებზედ გარდასახა- | | | — | — |
| დი ფული . . . . . . . . . | | | | |
| 19) ხარჯი, რომელიც უნდა დაბრუნდეს გამგეობის წევრ- | | | 703 | — |
| თა °/₀ დასაჯილდოვებელ ფულიდგან. . . . | | | 9,000 | — |
| ბალანსი | | | 21,338,654 | 84 |

### პასივი

| | მან. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისათვის . . . . . | 190,846 | 75 | | |
| ბ, მცირე-ვადიანის სესხისათვის . . . . . | 290,167 | 33 | 481,014 | 08 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა, სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . . . . . . . . | 33,065 | 92 | | |
| ბ, ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . | 304,907 | 19 | 337,973 | 11 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . . . . | | | — | — |
| 4) სასოფლო-სამეურნეო თანხა . . . . . | | | 1,901 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . . . | | | 9,236 | 18 |
| 6) გირაოს ფურცლები, რომელიც გამოცემულია ურთიერთშორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 5°/₀—61 წ. და 8 თვით . . . . . | 57,600 | — | | |
| 5°/₀—48 წ. და 8 თვით . . . . . | 2,900 | — | | |
| 5°/₀—36 წ. და 4 თვით . . . . . | 858,600 | — | | |
| 5°/₀—29 წ. და 9 თვით . . . . . | 24,500 | — | | |
| 5°/₀—უვადოდ . . . . . . | 16,158,300 | — | | *) |
| 4¹/₂— „ . . . . . . . | 295,300 | — | 17,397,200 | — |
| 7) გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე 101 §-ის ძალით, არა-სავალდებულო გარდასახადის მოსასპობად . | | | 168,700 | — |
| 8) გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნული . | | | 248,200 | — |
| „ „ ექსპედიციის მიერ გამოცემული | | | 162,900 | — |
| 9) გირავნობის ფურცლები მიბარებული . . . | | | 4,800 | — |
| 10) ვადამდე გარდასახდელი სესხი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით . . . . . | 89,300 | — | | |
| ბ, ნაღდის ფულით . . . . . . . | 36,975 | 47 | 126,275 | 47 |
| 11) ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები: | | | | |
| 4¹/₂°/₀ . . . . . . . . | 500 | — | | |
| 6°/₀ . . . . . . . . | 23,600 | — | | |
| 5°/₀ . . . . . . . . | 460,700 | — | | |
| 6°/₀ გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსულნი გაძლიერებულის კონვერსიით . . | 118,100 | — | 602,900 | |
| 12) საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები . | | | 189,100 | — |
| 13) გირავნობის ფურცლების გარდასახდელი კუპონები: | | | | |
| 4¹/₂°/₀ . . . . . . . . | 3,071 | 25 | | |
| 5°/₀ . . . . . . . . | 441,660 | — | 444,731 | 25 |
| 14) სარგებლის ფონდი: | | | | |
| 5°/₀ . . . . . . . . | 427,916 | 51 | | |
| 4¹/₂°/₀ . . . . . . . . | 6,557 | 38 | 434,473 | 89 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი თანხა: | | | | |
| 5°/₀—61 წ. 8 თვით . . . . . | 144 | 70 | | |
| 5°/₀—48 წ. 8 თვით . . . . . | 22 | 05 | | |
| 5°/₀—36 წ. 4 თვით . . . . . | 4,644 | 16 | | |
| 5°/₀—29 წ. 9 თვით . . . . . | 326 | 17 | | |
| 5°/₀—უვადოდ . . . . . . | 130,017 | 46 | | |
| 4¹/₂°/₀ „ . . . . . . . | 2,478 | 10 | 139,632 | 64 |
| 16) თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა-სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული . . . . . | | | 19 | 57 |
| 17) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდის ფულით . . . . . . . | 53,875 | 77 | | |
| ბ, ამ თავითვე გარდახდილი შესატანი მომავალის 6 თვ. | 1,125 | 68 | | |
| გ, გირავნობის ფურცლებით . . . . . | 218,200 | — | | |
| დ, სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით . . . | 400 | — | 273,601 | 45 |
| 18) წმინდა მოგება 1898 წლისა . . . . . | | | 232,354 | 98 |
| 19) კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც. . . . | 73,920 | — | | |
| 20) ძველი გასაუქმებელი ტალონები . . . . | 1,600 | — | 75,520 | — |
| 21) 5°/₀ გარდასახადი კუპონებისა . . . . . | | | 901 | 51 |
| 22) პროგრესიული სამრეწველო გარდასახადი . . . | | | 7,219 | 71 |
| ბალანსი | | | 21,338,654 | 84 |

*) აქვეა ჩარიცხული ჯამი 1874 წ. წესდების საფუძვლით გაცემულ სესხთა გამო გამოცემულ გირავნობის ფურცლებისა.